



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 440
02/07/2018

440-09-4-201807021423



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მინთაძეებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში მცხოვრებ გოჩა ჭანტურიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 05. 39. 039) დამხმარე სათავსოს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

2018 წლის 07 ივნისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში მცხოვრებ გოჩა ჭანტურიას №5974/09 განცხადება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მინთაძეებში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 05. 39. 039) დამხმარე სათავსოს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლით და IX-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მინთაძეებში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 05. 39. 039) დამხმარე სათავსოს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-

IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 15 ივნისის N1407-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში მცხოვრებ გოჩა ჭანტურიას კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23. 05. 39. 039) ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მინთაძეებში) დამხმარე სათავსოს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა